პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 კვირა 31 აგვისტო № 204 (16330) ფასი 2 კაპ. 1975

ბ. ლომაძის პლაკატი.

ცოდნისათვის!

მოგილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, მეგობრებო—ჩვენო მოსწავლე და სტუდენტო ახალგაზრდობავ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებლებო!

სწავლის წყურვილი

ბევალ პირველი სექტემბრის ზარი დაირეკება. ეს მთელი ხალხის ზეიმია, ცოდნის ზეიმია. იწყება ახალი ლაშქრობა ცოდნის სამყაროში. არ არის ოჯახი, რაიმე სახით დაკავშირებული რომ არ იყოს სკოლასთან, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ან პროფესიონულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებთან. ან თავად სწავლობს, ან მშობელი და ახლობელია მოსწავლისა, ან კიდევ ასწავლის მას. ახე რომ ახალი სასწავლო წლის დაწყება, 1 სექტემბერი ჭეშმარიტი ზეიმია ხალხისა.

წლევანდელი ახალი სასწავლო წელი „განსაკუთრებულია. იგი ემთხვევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXIV ყრილობის დიდ წინასწარდასახულობათა სახელოვანი დაგვირგვინების წელს, და იმ უდიდეს სამეურნეო და პოლიტიკურ აქტივობას, რასაც „მოუცავს საბჭოთა ხალხი სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების პერიოდში, ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ახლა ჩვენს დიად სოციალისტურ საშობლოში კიდით კიდემდე გაშლილია ყრილობისწინა მძლავრი სოციალისტური შეჯიბრება.

შრომის ამ უდიდეს პათოსს მხარს უბამს, ფეხდაფეხ მიჰყვება საბჭოთა სკოლა. მამების შრომითს ენთუზიაზმს ბეჯითი სწავლით უპასუხებს მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან როგორც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებ შ ი ა ჩაწერილი, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობა, საწარმოო ძალების განვითარება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დაბეჯითებით მოითხოვს მოზარდი თაობის ყოველმხრივ განვითარებას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფას.

საქართველოში სახალხო განათლება პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვით არის გარემოსილი. სახელმწიფო სახსრებს არ იშურებს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზით უზრუნველყოფისათვის. თუნდაც ამ უკანასკნელ წლებში რამდენი ახალი სკოლა ჩადგა მწყობრში! ახალი მოწყობილობით შეივსო სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნოები, გამოვიდა ახალი სახელმძღვანელოები, იყიდება სასწავლო ნივთები, მოსწავლის ფორმები. ახალი სასწავლო წელი იქნება უმნიშვნელოვანესი ეტაპი საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისა.

ახალი სასწავლო წლის წინ რესპუბლიკაში მოეწყო მასწავლებელთა ტრადიციული აგვისტოს თათბირები. მათ წითელ ზოლად გასდევდა საკითხი — სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების მდგომარეობა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ამოცანები. პედაგოგთა დიდმა საბჭოებმა დასახეს გზები მათ წინაშე დასმული ამოცანების ო�ეთ გადაწყვეტისათვის.

საბჭოთა სკოლა არის და უნდა იყოს ნორჩი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მძლავრი კერა. აქ უალბდება მომავლის ადამიანი, აქ საფუძველი ეყრება კომუნიზმის მომავალ მშენებელთა შეგნებას. ჩვენს სკოლას ახლა მოღვაწეობა უხდება იმ ღირსშესანიშნავ პერიოდში, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის გეზს წარმოადგენს ნაკლოვანებათა და ხარვეზების გადაჭრით დაძლევა, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა დარგში ყოველგვარი ნეგატიური ტენდენციების ამოძირკვა. სკოლამ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით ყოველმხრივ უნდა აამაღლოს სწავლა-აღზრდის დონე.

ახალი სასწავლო წლის დაწყება ემთხვევა კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას — ხვალიდან, 1 სექტემბრიდან საძალედოდ შემოღებული იქნება საქართველოს სსრ კანონი „სახალხო განათლების შესახებ". მისი საფუძველია განათლების უფლება, რომელსაც საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუცია ანიჭებს. 4.643 სხვადასხვა სასწავლებელი, მათ შორის 2.248 სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდა იძენს საშუალო განათლებას, — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ტექნიკუმები, საშუალო სპეციალური სასწავლებლები, პროფესიონულ-ტექნიკური სასწავალებლები, 19 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 84 ათასამდე კაცი სწავლობს, ემსახურებიან კონსტიტუციით მინიჭებული განათლების უფლების განხორციელებას. მილიონ ორას ათასზე მეტი, ესე იგი ყოველი მეოთხე კაცი სწავლობს დღეს საქართველოში.

სავალდებულო განათლება ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის, ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხასიათი, ყველა სახეობის უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება, მოსწავლ ე თ ა წარლის სრული სახელმწიფო კმაყოფაზე შენახვა, მოსწავლეთა და სტუდენტთა სტიპენდიათ უზრუნველყოფა და მათთვის სხვა მატერიალური დახმარების გაწევა... ესენი და სხვა ძირითადი პრინციპები სახალხო განათლებისა ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის მონაპოვარია. ყოველი ამ და მრავალი სხვა სიკეთისათვის სამშობლო მოსწავლეთა და სტუდენტთაგან ელის, ერთადერთ საზღაურს — ისწავლონ ბეჯითად, იყონ საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი. შეიძლება დაიშიოს ის საზღაური საბჭოთა ახალგაზრდობამ? არა, და არც იშურებს. სამშობლო გავახაროთ სწავლის ოქროს სწავლით, ვახახელოთ შრომის დროს შრომით, ვადიდოთ ბრძოლის დროს ბრძოლით! — ეს თვითეული ჭაბუკისა და ქალიშვილის ცხოვრების დევიზია.

ჩვენ გვინდა ცოდნა და არა მარტო ცოდნა. ცოდნასთან ერთად კომუნიზმის მშენებელ ადამიანს მაღალი მორალური თვისებები უნდა ჰქონდეს, ჭეშმარიტი კომუნისტური შეგნება, ხერვიული და მისწრაფება — საფუძველიანი ცოდნა მოახმაროს სამშობლოს, ხალხის ინტერესებს.

დიდ ეპოქაში უხდებათ სწავლა ჩვენს მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ოდიდესი მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, და ცოდნაც ღრმა და საფუძვლიანი მოეთხოვებათ.

ყველაფერი გვაქვს ამისათვის, ყველა ზრუნავს ამისათვის, პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები, აომზრდელები, ოსტატები, ცოდნას, ძალ ს და ენერგიას არ იშურებენ, რათა სამშობლოს მოუმზადონ ღირსეული შვილები. ამ ამაგს დაფასება უნდა, მას ბეჯითი სწავლით და შეუპოვარი შრომით უნდა ვუპასუხოთ.

ჩვენს სწავლას სამშობლო ადევნებს თვალყურს.

მაშ წარმატებული იყოს ახალი სასწავლო წელი!

საქართველოს სსრ რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებები

საქართველოს სსრ ჩაის პლანტაციის მშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებმა მიიღეს და გადაამუშავეს 310 ათასი ტონა ნედლეული. ხუთწლედის დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 130 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, რესპუბლიკის მეჩაიეებმა იკისრეს ვალდებულება დამატებით მოკრიფონ 15 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა მოსავლის აღების დასამთავრებლად, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის მიმდინარე წლის გეგმებისა და ვალდებულებების და მთლიანად ხუთწლედის შესასრულებლად, მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად და პიროტყვის გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად. (საკდესი).

ვალდებულებას ღირსეულად შეასრულებთ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მენარალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

მეექსკავატორეთა ბრიგადების კოლექტივები, რომლებიც ვმუშაობთ იუჟნის, სოკოლოვო-სარბაისკის, ნოვო კრივოი როგის, მიხაილოვსკის, ცენტრალური და ოლენეგორსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატების რკინის მადნის კარიერებში, სიხარულით მოგახსენებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეს, რომ სულ უფრო ვრცელდება კრივოი როგის მეექსკავატორთა მოწინავე ბრიგადების ინიციატივით გაშლილი მოძრაობა იმისათვის, რომ წელიწადში სანგრევიდან ამოვიღოთ და რკინიზისა და საავტომობილო ტრანსპორტზე დაეტვირთოთ მილიონ კუბური მეტრი სამთო მასა.

ამ მოძრაობის განვითარებამ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს სამთამადნო საწარმოებში საშუალება მოგვცა უკვე 1974 წელს „ეკგ-4,6" მარკის ექსკავატორების საშუალო-წლიური მწარმოებლობა გაგვეზარდა 602 ათას კუბურ მეტრამდე, ხოლო „ეკგ-ი" მარკის ექსკავატორთა მწარმოებლობა — 1.102 ათასამდე. ჩვენი ბრიგადები მუშაობენ ისეთ დონეზე, რომელიც 1,5-2-ჯერ აღემატება დარგის საშუალო მაჩვენებლებს.

მიღწეული შედეგები შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ბრიგადის თვითეული წევრი მრავალი წლის მანძილზე ბეჯითად მუშაობს, რათა დაეუფლოს სამთო ტექნიკას, მოიხვეჭოს პროფესიებს, შრომის მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს; ეს მბურღავებთან და სალოკომოტიეო ბრიგადებთან, ავტოთვითმცლელების მძღოლებთან, საგზაო მუშებთან, მექანიკოსებთან და ელექტრიკოსებთან მუდმივი ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ნაყოფია. ყოველივე ამის მეოხებით ექსკავაციის ციკლი საშუალოდ 35 წამიდან 25 წამამდე შეკვეცილი და რემონტებს შორის ექსკავატორთა მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა სამთო მასის 250 ათასი კუბური მეტრიდან 350 ათას კუბურ მეტრამდე გაგზარდეთ. ჩვენი ბრიგადები წარმატებით ასრულებენ 1975 წელს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ჩვენ, შავი მეტალურგიის მაღაროელები, დიდ მადლობას ვუძღვნით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეს, იმისათვის, რომ შეგეკრძალნი მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის პირობები, დიდად ზრუნავთ შავი მეტალურგიის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ჭალაქ მოსკოვის ბაკანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვენ, ლენინდ ილიას-ძეს, დიდი შეფასება მიეცით ქვანახშირის მრეწველობის მუშახტეთა მოწინავე კოლექტივების თავდადებულ შრომას და გამოთქვით რწმენა, რომ მათს გამოცდილებას დიდროდ გამოიყენებენ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელები.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ქვანახშირის მრეწველობის მოწინავე კოლექტივების ინიციატივას, რომლებმაც მოგვიწოდეს გაგვეშალა სოციალისტური შეჯიბრება სამთო-სატრანსპორტო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენებისათვის, და „სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად ეიკისრეთ ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები — 1975 წელს სხვადასხვა სამთო პირობების გათვალისწინებით, მოვიპოვოთ და დავტვირთოთ სამთო მასა:

ვ. კ. მირონენკოს ბრიგადაში „ეკგ-4,6" მარკის ექსკავატორით — 2 მილიონ 100 ათასი კუბური მეტრი, „ეკგ-ი" მარკის ექსკავატორით ვ. მ. ერმილოვინის ბრიგადაში — 3,5 მილიონი კუბური მეტრი, ლ. ი. ფილატოვისა და ე. პ. ანტოშკინის ბრიგადებში 3 მილიონი კუბური მეტრი თვითეულში, პ. ე. გილის ბრიგადაში — 2 მილიონ 850 ათასი, ა. ი. არსენიუკის, ვ. ი. შევჩენკოს და ნ. ა. ჟიტკოვის ბრიგადებში — ორ-ორი მილიონი, პ. ა. კოლესნიკოვის ბრიგადაში — 1 მილიონ 740 ათასი, ა. ვ. მურავსკის ბრიგადაში — 1,5 მილიონი კუბური მეტრი.

პირობას ვაძლევთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და პირადად თქვენ, ლენინდ ილიას-ძეს, რომ ავამაღლებთ რა ბრიგადის თვითეული წევრის კვალიფიკაციას, გავაუმჯობესებთ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციას, მაქსიმალურად გამოვიყენებთ მაღალმწარმოებლურ ტექნიკას, პირნათლად შეასრულებთ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებებს და ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მოვუწოდებთ სამთამადნო მრეწველობის ყველა მუშაკს ფაქიზად, ფიფქივით, ფაფუკად, ოქროსფერ ბურბუშელ ბამბასავით, ოქროსფერ ბურბუშელ ბამბასავით, ოქროსფერ ბურბუშელ ბამბასავით

□ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲒᲘᲡ
40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ
□ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲝᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲐ—ᲪᲕᲚᲐᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ შრომითი საჩუქრებით ეგებება თავის ტრადიციულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს ახალციხის № 1 შახტის კოლექტივი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ღირსეული შესვლისთვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საპასუხოდ მაღაროელებმა გადაწყვიტეს ვადამდე, 29 დეკემბრისათვის შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა და დავალების გადაჭარბებით გამოუშვან ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია მოწინავე მეშახტე შალვა გულიტაშვილი. პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავად მან გაადიდა შრომის ნაყოფიერება და ვალდებულება იკისრა ცვლაში ორი ნორმა შეასრულოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე, მეშახტე შალვა გულიტაშვილი.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲘᲜᲘᲡ ფოტო (საქანფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ

ᲬᲚᲔᲣᲚ მეშახტის დღეს ემთხვევა საერთო-სახალხო დღესასწაული — სტახანოვური მოძრაობის მე-40 წლისთავი. ამ ზეიმთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მეშახტეები აჯამებენ განვლილი პერიოდის შედეგებს და სახავენ ახალ ხუთეულების სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

„საქნახშირის“ კომბინატის შრომელები ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებებიან ამ დღესასწაულს. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი წარმატებებისათვის „საქნახშირის“ კომბინატმა და მისმა საწარმოებმა არაერთხელ მოიპოვეს გარდამავალი დროშები და ფულადი პრემიები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას („რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“) რომ ახორციელებენ, რესპუბლიკის მეშახტეებმა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მიაღწიეს მუშაობის კარგ მაჩვენებლებს. შედეგ თვეში ქვანახშირის მოპოვების გეგმა შესრულებულია 103.7 პროცენტით, მოპოვებულია 45 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი სათბობი. მეშახტის ღისადმი მიძღვნილ დამჟარელურ შრომის ვახტზე მეშახტეებმა ჯერ კიდევ 22 აგვისტოსათვის მეორე ცვლაში უპატაკეს სამშობლოს ქვანახშირის მოპოვების რვა თვის სახელმწიფო დავალების შესრულება.

ნახშირის მოპოვების გეგმის შესრულებაში თავი ისახელა ქვანახშირის საწარმოო გაერთიანება „ტყვარჩელმა“, რომელმაც რვა თვის გეგმა 15 აგვისტოსათვის შეასრულა. ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა კი — 25 აგვისტოსათვის. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ნახშირის მოპოვების შვიდი თვის გეგმები ტყიბულის ლენინის და ორჯონიკიძის სახელობის შახტების კოლექტივებმა, ქვანახშირის საწარმოო გაერთიანება „ტყვარჩელის“ ლენინის სახელობის შახტის № 2 შახტების მშრომელებმა, რიტმულად მუშაობს ახალციხის № 1 შახტის კოლექტივიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტყვარჩელის სსრკ 50 წლისთავის სახელობის შახტის კოლექტივის წარმატება, მან 1975 წლის 29 იგლისისათვის შეასრულა ხუთწლედის დავალება.

პროდუქციის რეალიზაციის შვიდი თვის გეგმა კომბინატმა 105,1 პროცენტით შეასრულა, გეგმით გათვალისწინებული 43.971 ათასი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 45.719 ათასი მანეთის პროდუქცია. გეგმის ზევით რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გაეგზავნა 22 ათას ტონაზე მეტი საკოქსე კონცენტრატი.

ფართო ფრონტით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ყველა საწარმოო უბანს შორის. მიღწეული წარმატებები ქართველ მეშახტეთა გმირული შრომის შედეგია, რომელთა რიგებში დღეისათვის მოწინავეთა და ნოვატორთა მთელი არმიაა. მათს შორის არიან სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ტყვარჩელის № 2 შახტის წმენდითი სანგრევის მუშა ლეონტე ტყებუჩავა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორჯონიკიძის სახელობის შახტის წმენდითი სანგრევის ბრიგადის ხელმძღვანელი ვეტერ სვანაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლაკობის სახელობის შახტის წმენდითი სანგრევის სამთო მუშა ანატოლ ცაბა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სტალინის სახელობის შახტის ბერეან-გამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი ანდრო ჭელიშვილი და სხვ.

ტყიბულელს ლენინის, ორჯონიკიძის შახტების, საწარმოო გაერთიანება „ტყვარჩელის“ მოწინავე ბრიგადებმა, რომელთა სათავეში დგანან გამოცდილი ბრიგადირები ა. ლაფერაძე, ვ. მაისურაძე, ე. სვანიძე, გ. ღურნელაშვილი, რ. დვენარი, ფ. სტეფანოვი, მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მეშახტეს ფართოდ ჩაბმულიყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაენერგვათ საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მოწინავე ბრიგადების და უბნების გამოცდილება, რომელიც ახალი ტექნიკის დანერგვისა და ათვისების გზით თვითეული წუნდითი სანგრევიდან ნახშირის მოპოვების მაქსიმალურ ზრდას და საწარმოო პროცესების მექანიზაციისა-ავტომატიზაციას ითვალისწინებს, რომ შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდის ხარჯზე წმენდითი სანგრევის თვითეულმა მუშამ დღეღამეში შეძლოს გეგმის ზეგით ამოღოს 2 ტონა ქვანახშირი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა „საქნახშირის“ კომბინატის შახტების მოწინავე უბნებისა და ბრიგადების ამ ინიციატივას. მას გამოეხმაურა 61 ბრიგადის კოლექტივი. მათ შორის 70 პროცენტზე მეტმა 1975 წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ქართველმა მეშახტეებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“. ყრილობისწინა შეჯიბრების პერიოდში მთავარი ყურადღება ეთმობა დამატებითი რეზერვების ძიებას და დანერგვას, წარმოების მოცულობის ზრდისათვის ბრძოლას, ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისების დაჩქარებას, მომქმედი სიმძლავრეების სრულყოფილ გამოყენებას, საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციას...

ქართველი მეშახტეები დადგნენ სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ერთსულოვნად მოიწონეს თბილისელ მეკოპეთა პატრიოტული თაოსნობა და იკისრეს გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები — ისინი თავიანთ წვლილს შეტანენ რესპუბლიკის მიერ ნაკისრი 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაში, წლის ბოლომდე დაამზადებენ 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

Ვ. ᲓᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ,
კომბინატ „საქნახშირის“ უფროსი.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

Ს. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ ᲓᲐ Ა. ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲘ

ᲝᲠᲛᲝᲪᲘ წლის წინათ ჩვენს დიდ ქვეყანაში კიდევ კიდევ ერთხელ გაისმოდა მეორე ხუთწლედის ბრძოლის გმირული სიმფონია, მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ-ახალ მიღწევებს ზეიმობდა ეკონომიურ მშენებლობაში, ამთავრებდა სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციას. მეორე ხუთწლედის მჭრტო პირველ ორ წელიწადში მრეწველობამ, ტრანსპორტმა, სოფელმა მიიღო ამდენი ჩარხები და მანქანები, რამდენიც პირველი ხუთწლედის დროს. ანდენ ტექნიკას უნარიანი გამოუყენება სჭირდებოდა. საზოგადოების წარმოების ზრდა ტექნიკის ათვისებაზე იყო დამოკიდებული. პარტიამ მოუწოდა ხალხს: „კადრები, რომლებიც დაეუფლენ ტექნიკას, ყველაფერს წყვეტენს“ ლაპარაკი იყო, ათეულ ათასობით, მილიონობით ადამიანზე, რომლებსაც შეეძლოთ მოძრაობაში მოეყვანათ და მთლიანად გამოეყენებინათ ამ დროისათვის ახალი ტექნიკა.

ალექსი სტახანოვი დონბასში ჩამოვიდა სხვა მოხალისეებთან ერთად ინდუსტრიალიზაციის გარიჟრაჟზე. ის კადიევკას მაღარო „ცენტრალნაია ირმინოში“ მუშაობდა მნგრეველად...

1935 წლის 30 აგვისტოს, ღამის ათ საათზე, სტახანოვმა გამოიყენა პროგრესული მეთოდი და აჩვენა ქვანახშირის მონგრევის ხაოცარი უნარი და ნამდვილი შრომითი გმირობა ჩაიდინა: 6 საათის განმავლობაში მოანგრია 102 ტონა ქვანახშირი და შეასრულა რიგითი მაღაროელის 14 ნორმა!

მეორე დღეს გაზეთ „პრავდის“ ბოლო გვერდზე დაიბეჭდა პატარა წერილი ასეთი სათაურით: „მნგრეველ სტახანოვის რეკორდი“. ამ დროს ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი სერგო ორჯონიკიძე კისლოვოდსკში იხვენებდა. ეი, რას წერს თავის წიგნში „გმირობის ესტაფეტა“ წერალი ალექსეი ინოვი: „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილს იმ წამსვე მიაქცია ყურადღება ბევრითი ბუნების ადამიანმა სერგო ორჯონიკიძემ, ძალიან ალელდა და გულით გაიხარა. მუშებს უანგარო ქომაგი, ის ლენინური სკოლის გამობრძმედილი მუშაკი გახლდათ, აზროვნებდა საღად, რევოლუციურად და სტახანოვის თაოსნობაში დაინახა ის ნაპერწკალი, რომელსაც შეეძლო სახალხო შეჯიბრების კოცონი აენთო. და ეს ყველაფერი სერგო ორჯონიკიძეს ხაქმიანი მიდგომით და რკინისებური ნებისყოფით განხორციელებულ იქნა. პარტიამ, მთავრობამ და პრესამ დიდი მუშაობა ჩაატარეს, რათა დონეცკის მაღაროს „ცენტრალნაია ირმინოს“ მნგრეველს ალექსი სტახანოვის გმირობა მთელ ქვეყანას შეეტყო, რომ ამ დიდი თაოსნობის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა გასაგები ყოფილიყო მილიონობით მშრომელთათვის და ყოველმხრივ გაეწიათ დახმარება იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც შეეძლოთ დაენგრიათ დახავსებული, ძველი ტექნიკური ნორმები და შეექმნათ ახალი, პროგრესული, სოციალისტური“...

სერგო ორჯონიკიძემ პირადად ინახულა ა. სტახანოვი, მეგობრულად ესაუბრა, დიდ ყურადღებით მოუსმინა მას და ახალი, სტახანოვური მოძრაობის შესახებ მოახსენა ალენი ქვეყნის მთავრობას. 1935 წლის 14 ნოემბერს მოსკოვში, კრემლში პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები გულთბილად მიესალმენ [illegible] ალექსეი სტახანოვს. ამ დროისათვის სტახანოვის მოძრაობა მთელ ქვეყანას მოედო, ოიოქმის ყოველ დღე უბრალო საბჭოთა [illegible] ნამდვილ ხასწავლულს ანდენდნენ. [illegible] ერთმანეთს ცვლიდნენ ჩვენი ქვეყნის შრომის გმირები, ახალი ადამიანები: ალექსი სტახანოვი, ნიკიტა იზოტოვი, ევდოკია და მარია ვინოგრადოვები, ივანე გუდოვი და სხვ. მხოლოდ კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი ჩვენს ქვეყანაში ასეთი არნახულ სიმაღლეზე ასულიყო მასების ენთუზიაზმი, მათი სრულფვა შეექმნათ ეკონომიური შემოქმედებითი შრომის გმირული მაგალითები.

სტახანოვური მოძრაობა თავისი ბუნებით სოციალისტური ხასიათის მოვლენაა. ის მხოლოდ სოციალიზმის პირობებში შეიძლებოდა აღმოცენებულიყო. ასეც მოხდა. სხვანაირად არ შეიძლებოდა. ამ მოძრაობას უკვე გააჩნდა რევოლუციის პირველ წლებში თავისი ყლორტები, უკვე ჰქონდა დასაწყისი, ეს იყო „კომუნისტური შაბათობები“, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „დიადი თაოსნობა“ უწოდა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ—ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ!

ᲝᲗᲮ პირველ ქართველ სტახანოველებს შრომის არწივებს ვუწოდებენ, მაშინ მათ სწორედ აქ, ჭიათურის თვალუწვდენელ მთებსა და კლდეებზე უნდა შესხმოდათ ფრთები — არწივები ხომ მთებში იბადებიან!

და მართლაც სწორედ აქ დაირწა ამ ხასწავლულრიანი მოძრაობის აკვანი, ქართველმა მაღაროელებმა, მთელ ამიერკავკასიაში პირველებმა სწორედ აქედან მისცეს ბანი იმ დიდი ზარის ხმას, ათასეული კილომეტრების დაშორებით, დონბასის მიწის წიაღში ამ ორმოცი წლის წინათ ალექსი სტახანოვმა მძლავრად რომ დარეკა...

...დირექტორის სამუშაო ოთახის ფანჯრები მუქანედ დაუბურავს ჭადრების ტოტებს. აქ ვერ აღწევს დაბლა. მთებში ქვაბიდგით მოქცეული, ავვისტოს პაპანაქებაში გასუფთავილი ქალაქის ოხშივარი. მოშრიალე მწვანე ფოთლებში მზე თვალწარმტაცად ათამაშებს შუადღის სხივებს. გარეთ სააპური ნიავი ქრის. არაფერი სჯობს აქედან გადახედვას — თვალწინ ლაბალში სანახაობა იშლება. მაგრამ ღირეკტორს ერთი წუთითაც არა სცალია თვალის დასაკმაყოფილად, ტელეფონის ყურმილი მოუმარჯვებია და გაფაციცებით იწერს მაღაროს მუშაობის დღიურ ცნობებს.

ეს ჯისი სამხარაძეა — პირველი ქართველი სტახანოველი, ლენინის ორდენოსანი, ჩვენში ამ სასწაულმრავი მოძრაობის გაჩაღების მახარობელი მერცხალი, ამჟამად ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს დირექტორი.

თუ ხიმართლეა, რომ თვალები ის სარკეა, კაცის სულს რომ გვიჩვენებს, თუ კაცის გარეგნული გამომეტყველება მის შინაგან ბუნებას გამოხატავს, მაშინ ეს აზრი ვასილ სამხარაძეზე ყოფილა ზედგამოჭრილი. სმაც რომ არ ამოიღოს, ერთი სიტყვაც რომ არა თქვას, მისი კეთილი ღიმილი ისეც მოწმობს, რომ საყვარელი ადამიანია, ტკბილი კაცია, მაგრამ როდესაც ესაუბრებით, ეს აზრი ერთიორად გიძლიერებთ და აღარ გიკვირთ, თუ რად უყვარს ეგრე ძლიერ მთელ თავის მაღაროს, მთელ ჭიათურას, ყველას, დიდსა და პატარას.

ვასილ სამხარაძის ბუნებაში შრომისმოყვარეობა, უნარიანობა და გამჭრიახობა გულდია, კეთილ ადამიანობასთან არის შეერთებული. ლაბაში და მშვენიერია ვასილის ბიოგრაფია.

1935 წლის 14 ოქტომბერს ის ამიერკავკასიაში პირველი გამოეცხადა სტახანოვის შრომითს სასწაულს — 9 ტონის ნაცვლად ცვლაში 51 ტონა მარგანეცი დატვირთა და დღიური დავალება 561 პროცენტით შეასრულა. ქვეყნასა მოეფინა ეს ამბავი და ვასილიმ — უბრალო წყალშავალელმა ბიჭმა კრემლამდე მიაღწია.

— ბარაქალა! — უთხრა მაშინ ოდესაღაც ნოლის ახლოდულვაზმეგანკოკრებულ ჭაბუკს სტალინმა.

— ბარაქალა! — ეუბნება დღეს ექვსათეული წელს გადაცილებულ დარბაისელ ჭაღარა დირექტორს ალეხი. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს, რომელიც ერთერთი მოწინავეა მთელ ჭიათურაში, ოდიდათ წელიწადზე მეტია სათაქვეშო ზედაპირ და ახალ-ახალი შრომითი ზღუდეების დასალაშქრავად უნარიანად მიუძღვის წინ ვასილ სამხარაძე. სამმართველო წარმატებას წარმატებაზე აღწევს, რადგან მის დირექტორს, ყოფილ მუშას, სტახანოველ მნგრეველს — ყველაზე კარგად ეს-მის მუშის გულისცემა, მისი ზრახვა, ფიქრი, ტკივილი, სიხარული. მაღაროს პირველი აგვისტოსათვის უკვე შეასრულა ხუთწლედი. მისი კოლექტივი სასიხარულო საჭმეს კისრულობს — ჩვენი პარტიის ოცდამეხუთე ყრილობისათვის ვალდებულების გადამეტებით 13.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვას, თებერვლის გეგმა 24 თებერვლისათვის — ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს.

ვასილის ადგილზე ზოგს დირექტორმა გააჭენმაღლებდა, შეცვლიდა, გააგორებდა, გულიცივ, მიუკარებელს, მიეროკრატს, თვითდაჯერებულს გახდიდა. ვასილი კი ყველასათვის გულისხმიერია, უბრალოა, თვითონაც სწავლობს მუშებისგან და ასწავლის კიდევ მათ. და ეს ადამიანური თვისებები, რომელთა სათავეც შრომა და ბუნებით მომადლებული პატიოსნებაა, ხელს კი არ უშლის დირექტორს, რომ კარგი ორგანიზატორი იყოს, არამედ ხელს უწყობს.

წარმოების ეკონომიკის საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილმა დირექტორმა კარგად იცის მაღაროს საქმიანობა, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული. ის კაბინეტში ჩაკეტილი კაცი როდია. დღეს რგანის ზეგანზე ნახავთ, ხვალ — გამამდიდრებელ ფაბრიკებში, ზეგ — საკავშირო-საბჭოთო გზებზე... ტრანსპორტი, ახალი ტექნიკა, ნედლეულის ხარისხი, მადნის გამდიდრების ტექნოლოგია — ეი რას უარიყლებს დღე და ღამე ვასილ სამხარაძის აზრი და გონება, სადაც კენ არის მიპყრობილი მისი გულისყური.

ვასილის რეკორდი ის ნაპერწკალი იყო, საქართველოში სტახანოვური მოძრაობის დიდი ცეცხლი რომ გააჩაღა. ეს ცეცხლი მთელ საქართველოს ნოდდო. ვის არ ახსოვს მეგიელ დავით ჭიჭინაძის, შეფოლადე ვლადიმერ ხალაძის და სხვათა სახელები. მაგრამ პირველი მიმდევრები ამ საქმის პიონერს ჭიათურამიეე გამოუწნდნენ. ისინიც მაღაროელები იყვნენ.

ტრიფონ ფოფხაძე! — ეი ვინ მიაყვა პირველი ვასილ სამხარაძის კვალს, ისინი ამბანაგები იყვნენ, ერთ მაღაროში მუშაობდნენ მხარეველად. კარგი ამბავი უცბად გავარდება ხოლმე და შვიბულებში მყოფნა ტრიფონმაც თავის სოფელ კორბოულში იმ დღესვე გაიგო, ვასილს რეკორდი დაუმყარებიაო. გაიგო და გული აუძგერდა, იმ სურვილით აეხთო, რომ ამსანაგს არ ჩამორჩენოდა, ჩამორჩენოდა კი არა, გაეცხრო კიდეც. რამ აუძგერა გული? რატომ აეხთო ტრიფონს თვალში ნაპერწკალი? აქ არც შური ყოფილა და არც ჯიბრი, ან იქნებ ორივე იყო, მაგრამ კარგი გაგებით, იმ გაგებით, რომ თვითეული ადამიანი უნდა ეცადოს ზეგანზე მეტი გააკეთოს, რაც ხალოლო ანგარიშით ნეგ დოველათს შემატებს სამშობლოს.

ტრიფონი სოფელში ისვენებდა. ეზოში, ცვრიან ბალაზზე დადიოდა ფიქრშეფელი. ეს ამბავი რომ გაიგო, ფეხზე არც ჩაუცვამს, ისე გამოეშურა ჭიათურისკენ.

ჩამოვიდა და ვასილის რეკორდის მეორე დღესვე გადაჭარბა ამ რეკორდს — გეგმა 637 პროცენტით შეასრულა.

სოციალისტური შრომის გმირი ტრიფონ ფოფხაძე ამჟამად პენსიონერია. ვალმოსდილი შრომის ვეტერანი ისვენებს და ტკბილად ატარებს სიბერის დღეებს თავის ოჯახში, შვილებსა და შვილიშვილებში.

ვასილმა და ტრიფონმა ფართო გზა გაკვალეს. ამ გზაზე მიდიან და გავრბიან ჩვენი ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავთ გრიგოლ ტყეშალაძისა და პეტრე გოგაბერიშვილს. ამ გზაზე სახელოვნად გაიარეს და სიამაყით, ყოველთვის მაღლა აღმართული მოჰქონდათ და მოაქვთ შრომის ალაში ჭიათურელ მაღაროელებს — უშანგ მაჭავარიანს, კალინიკე ღავთაძეს, გრიგოლ ჭოხონელიძეს — შვენებელს, სამრეველო ობიექტებს რომ აშენებს; პლატონ ბოყოველს, ალექსანდრე გაფაშელს, ვასილ არჩაიას, დავით კიღაძეს, მიხეილ აბრამიშვილს, ალექსანდრე ბარბაქაძეს, რაციონალიზატორ ლევან ღუნიძეს, ხერგო კაპანაძეს, თევდორე ვიუშინს, ალექსანდრე ჩუბინიძეს, ილარიონ შუმლიძეს, დავით ცერცვაძეს და სხვებს. ბევრი ასეთა გმირული შემართებით უკმირავს გულს შავ მთებს, რათა რაც შეიძლება მეტი ფაფი ოქრო გამოსტაცოს საძშობლოსათვის.

ბი ერთი მათგანი — კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, გვირაბგამყვანი გიორგი ბაქრაძე. 47 წლის კაცია, ბუთი ხელობა იცის — მეგზეგეც არის. მბურღავიც, რკინიგზელიც, მტკვრისფავი მანქანის მემანქანეც. სიოცოცხლითა და ჯანღონით სავსე ვაჟკაცია. დღიურ ნორმას ორის პროცენტს ცოტა გაჭარბებო, რიხიანად ამბობს და ეიცხლოდან მიმოხვრაში ეჯაყობა კიდეც შრომის სიყვარული. ჯერ ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში მუშაობდა მბურღავად, 1959 წელს კი, როცა ახალი ინსვლის მაღაროს უჭირდა, აქ გადმოვიდა თავისი სურვილით. ასლანან მაღაროთა სამმართველომ ლენინის ორდენოსანი მოწინავე მაღაროელი შუბუქი ავტომანქანით — ჭიათურაში ადგილები იყიდე, რაღგან ერთ დროს აქ რკინიგზა უნდა გამოვიდესო. იგივე თავადი ამ სიტყვებს ისსენებს და განაგრძობს: „ბართლა, ჩემი ოოხტომ, ძალიან საკვირველი არ იქნება მდვიმეშე რკინიგზა? მეგე კიდევ, თუ ჯოყოეთშეც გამოიარა, რადა გვეგზრის მე და შენ! მანც გეკადრება ცხენზე ჯდომა და ოფალის დახმახმბაში შეგიძლია ჩვენსა ამოიბრიგინო“.

მხარში ამოდგომის მაგიერ ასე დაცინინოდენ დიდ მეგობასს, რომელიც შავი ქვის ხამობლოს საკეთილდღეოდ გამოყენებაზე ფიქრობდა, საქართველოს ნაოელი მომავლისთვის იწვოდა და იღვწოდა. ბოეტს მასხარად იგდებდნენ: „ხომ არ გაგიჭეშულა, რომ ოჯახი მიეტოვებია და მთებში დახეტიალობს, რა შავ ქვას დაეებსო“; „ბოეტი ვარსკვლავებს უნდა შეეჭიკჭიკებდეს, რა მაგის საქმეა, რომ შავ ქვას გამოუდგაო“.

დიდი ერისკაცის შრომასა და ოცნებებს ამაოდ არ ჩაუვლია — შავი ქვის მადანს პირველი წერაქვი მოხვდა. მიწამ მკრდი გადაიხსნა. მაგრამ ჩვენს ქვეყანას მაშინ არ მოსდევდა იმდენი ძალღონე, რამდენიც დღეს მოსდევს. ურემები, ცხენები, ჩალანდრები... შემდეგ — უცბო კონცესიონერები, რომლებსაც, ცხადია, სხვისი საქმისთვის გული არ შესტკივიდათ და არც სიტყვის შეუსრულებლობა ანაღვლებდათ...

სად იყო ასეთი მძლავრი ტაქნიკა, ასეთი მძლავრი მაღაროთა სამმართველობი, ასეთი ცხოვრება, ასეთი ხაუკეთესო მუშათა პირობები. კეროდ მრეწველები სულსა ხდიდნენ დღეღამ სინათლეს მონატრებულ მაღაროელებს. ახლაც ცოცხლობს მწარე მოგონება კერძო მრეწველის — გიგია ბრეგაძის ამბისა. გიგია მუშებს აიძულებდა საქმეზე მანამდე ჩამოსულიყვნენ, სანამ ცაზე უკანასკნელი ვარსკვლავი ჩაქრებოდა, და სამუშაო მაშინ დაიმთავრებინათ, როდი ყის კიდურს ის ვარსკვლავი ისევ ჩანანთებდა. რიგრაგის უკანასკნელ ვარსკვლავსა და ბინდებუნდის პირველ ვარსკვლავს ჭიათურაში „გიგიას ვარსკვლავი“ დარქვეს.

ახლა კი... ნეტავ ახლა შეიხედა თავადს კონსტანტინეს, ფართოლიანდაგიანი რკინიგზით როგორ გადაეკრულებს ხოლმე ელმავალი მღვიმეს ალდაგან კალთებსაც, ჯოყოეთსაც და სალიეთსაც, ჭიათურასაც და ჭიკურასაც. ეოცხალი რომ იყოს ეს ვაკბატონი, რა სირცხვილით გაეხსენებოდა, დაცინვით რომ იმეორებდა ბგოსნის სიტყვებს, „ქვეყანა უნდა გავამდიდროთ“.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲢᲠᲘᲤᲝᲜ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ.

ᲘᲛ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲓᲐᲜ ᲐᲛ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲐᲛᲓᲔ

ᲐᲠᲥᲘᲕᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲘ



ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲝᲡᲘ ᲛᲘᲠᲖᲐ ᲛᲐᲓᲐᲠᲐᲫᲔ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲘ

ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲐᲚᲔᲥᲘ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲘ მრავალი მიმდევარი ჰყავდა და ჰყავს. ახალგაზრდა ქალაქ ტყვარჩელშიც მაშინვე გამოჩნდნენ პირველი სტახანოველები. ა. სტახანოვის მიერ ქვანახშირის მონგრევის რეკორდის დამყარების მეოცე დღეს, 1935 წლის 20 სექტემბერს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც მიშა გაბელია ხელმძღვანელობდა, ერთი საათის განმავლობაში 48 ტონა ქვანახშირი მოანგრია. ამრიგად, ოთხმა მნგრეველმა 13 კაცის ნორმა შეასრულა! მომდევნო დღეს ბრიგადამ 8 საათის განმავლობაში 440 ტონა სათბობი ამოიღო. ახე დაიბადა ტყვარჩელში სტახანოვური მოძრაობა.

კარგად მახსოვს, რომ ამ შესანიშნავი მოძრაობის წლისთავზე ტყვარჩელში უკვე 1.000 სტახანოველი იყო. პირველი ნოვატორები იყვნენ ა. ხარიმა, ი. მანიულოვი, ვ. ლაკობა, დ. ამუაა, ხ. კვარჩია და ამ სტრიქონების ავტორი. მაშინ ყველას მოგვანიჭეს „სანგრევის ოსტატის“ სახელი.

1938 წლის 5 იანვარს მე, ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის გამუვანმა, თავისებური რეკორდი დავამყარე, რვა გრძივი მეტრი გვირაბი გავიყვანე და ცვლის დავალება 600 პროცენტით გავანადგურე! 1939 წელს მოსკოვში სრულიად საკავშირო სამრეწველო აკადემიაში სწავლის დროს პირველად შევხვდი ალექსი სტახანოვს, ჩვენ დავმეგობრდით. ჩემი მოწვევით სტახანოვი ტყვარჩელში ჩამოვიდა. მან მოგვიწონა საქმიანობა, მოგვცა რჩევა-დარიგება, გაგვიზიარა გამოცდილება. მან ჩემთან ერთად ცვლაში იმუშავა და ჩვენი შახტი რიგოული ეჩვენა. მაგრამ თავდადებული შრომის მაგალითი გვიჩვენა. მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა. მაგრამ ახლაც მახსოვს სტახანოვის დარიგება: არ შეუშინდეთ შეჯიბრებაში „კონკურენციასო“.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ, ᲡᲐᲜᲐᲜᲯᲔᲠᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲨᲣᲐᲚᲔᲓᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲗᲐ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

□

ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲘᲪ, ᲡᲐᲥᲕᲔᲑᲘᲪ!

ᲒᲐᲠᲓᲐᲒᲐᲜᲘ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ეს იმას შედეგია, რომ აქ ვადების ზუსტად დაცვით განაორიცელეს ნიადაგის დამუშავებისა და სიმინდის მოვლა-პატრონობის ყველა სავალო ტექნიკური და დამატებით სასუქი ორ ღონისძიება.

29 აგვისტოს პარტიის რაიკომმა შეკრიბა მეურნეობათა დირექტორები, პარტიულ-სამეურნეო აქტივი და ერთხელ კიდევ ჩაატარა ინსტრუქტაჟი სიმინდის, სანაწყვეტალოდ და შუალედური კულტურების ნათესების ორგანიზებულად დათვალიერების შესახებ.

როგორც დათვალიერებამ აცხადეყო, განსაკუთრებით სიმინდის კულტურის უხვ მოსავალი ელიან მარტყოფის, სართიჭალის, გორდაბნის და ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობები. არის სრული საფუძველი, რომ რაიონში 5 ათასი ჰექტარი სიმინდის ნათესებიდან საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიიღ

ბავშვობას სკოლა.
მშობლიური სკოლა!

ცოდნისათვის!

„კომუნისტის“ ინტერვიუ

იწყება ახალი სასწავლო წელი. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი მწვრთა ხალხთველოს სსრ განათლების მინისტრს თამარ ლაშქარაშვილს. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ბიორგი ჯიბლაძეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს იოსრატს შევარდნაძეს და მიმართა ორი კითხვით:

1. რა სიახლეებით გამოირჩევა წლევანდელი წელი?

2. რას უსურვებთ მოსწავლე ახალგაზრდობას, მასწავლებლებს, კეთილგანწყობილ ადამიანებს?

აი რა გვიპასუხეს მათ:

თ. ლაშქარაშვილი — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

1. პირველეს ყოველისა წლევანდელი სასწავლო წელი ითვლის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების ერთ და, მაშასადამე, წელი, რომლის მანძილზეც ჩვენმა განათლებამ ორგანიზმა, ასოლოგმა, ფართო საბჭოთა საზოგადოებრივობამ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა ორსულული მაჩვენებლებით შეხვდნენ სკკ XXV ყრილობას.

ბენშენელოვანი ცვლილებები მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელში. ელეფლოს მეცხრეკლასიანი დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების ბინასაბინა და ორსულია საშუალო სკოლების რიცხვი. ახალი სასწავლო წლიდან მე-8 კლასებში შეიყვანება ჩვენი ახალი საგანი „საბჭოთა ანონმდებლობის საფუძვლები“. ამ საგანს ისტორიის მასწავლებლები ასწავლიან. ეჭვი ან არის, ამ საგნის სწავლება მნიშვნელოვანია ვალუმკობისებს მოსწავლე ახალგაზრდობის ოდეფურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეს.

ახალ სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და ის ფილიალებში კვალიფიკაცია. ეიმაღლა ეი ათასზე მეტმა პედაგოგმა: თბილისში ეიმენა მასწავლებელთა დახელოვნების ახალი საქალაქო ინსტიტუტი, რომელმაც ბარე სტარტი ადიდ და კვალიფიკაციის ამაღლებაში უკვე დაეხმარა 800 პედაგოგს. ბასთანავე თბილისის სახალხო განათლების ეიონელ განყოფილებებთან პირველად შეიქმნა მეთოდ-კაბინეტები. მათ უკვე დაიწყეს მუშაობა და საჭირო დახმარებას უწევენ ბოგორც ახალგაზრდა, ისე ვამოცდილ პედაგოგებს.

პირველ სექტემბერს სკოლის ზარი ბირველად აწკრიალდება მოსამზადებელი და ბირველი კლასების ასი ათასზე მეტი მოსწავლისათვის. სკოლაში პირველად მიეგებ 130 ახალგაზრდა პედაგოგი — თბილისის ბელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი.

2. ხალენი ეპოქა, ჩვენი ხანა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაა. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვობ სწავლასა და სასკოლო საგნების კურსის ორმად დაფიფილებს. ჩვენს ახალგაზრდობას სწორედ იმის ვუსურვებ, რომ სწავლობენ. შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეულად ატარონ საბჭოთა მოსწავლის სახელი. ეს იქნება მასწავლებელთა ბალზე დიდი ჯილდოდ.

ბ. ჯიბლაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

1. ყოველი ახალი წელი დაკავშირებულია გარკვეულ სპეციფიკასთან. ახლანდელი სასწავლო წელიც არაერთი სიახლით გამოირჩევა. მთელ მუშაობას განსაზღვრავს პოლიტიკური ალმავლობით გაზღვილი მზადება პარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ამ სასწავლო წელზე მოდის ათე ხუთწლედის დაწყებაც. ეს ხუთწლეული, როგორც ამხანაგმა ლენონდ ბრეჟნევმა ასასზღვრა, ხარისხის ხუთწლედია და ჩვენ მოითხოვს კადრების მომზადების ხარისხის მკვეთრად ამაღლებას.

რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების ცხოვრებაში სისტემატურ ხასიათს მიიღებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა. პირველად იქნება შემოღებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკის ჩათვლის ინფიცირებული წიგნაკი. ეს ღონისძიებანი, ეჭველია, დიდად შეუწყობენ ხელს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ოპტიმალურობას, მაშასადამე, კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას.

სიახლენი გვაქვს სწავლების დარგშიც. მეცნიერებათა დიფერენციაციისა-ინტეგრაციის შეუჩერებელი პროცესი ცვლილებებს იწვევს სწავლებაშიც. ზოგიერთი მეცნიერება სახეს იცვლის, სხვას უერთდება ან სხვისგან ცალკე გამოიყოფა. მიგალითისათვის დავასახელებთ ახლანდ მომზადარ ცვლილებებს: სპეციალობა — „სპინენრო გეოდეზია“ შეიცვალა „გამოყენებითი გეოდეზიით“, „არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიურ სასუქთა ტექნოლოგია“ — „არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიით“, ნახევარგამტარების მოწყობილობანი — „ნახევარგამტარებისა და მიკროელექტრული მოწყობილობანი“ — „ნახევარგამტარებისა და მიკროელექტრული მოწყობილობებით“, „ელექტრული სისტემები“ — „ელექტრული სისტემებით“, სასწავლო გეგმიდან ამოღებულია ისეთი სპეციალობანი, როგორიც „ქიმიური კინეტიკა და წვა“, „მეცნარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების ტექნოლოგია“, „ბოჭკოვანი მასალების პირველადი დამუშავება“.

სასწავლო გეგმაში ცვლილებების ეს პროცესი შეუჩერებელია, ვინაიდან ცხოვრების განვითარების პარალელურად გიგანტური ნაბიჯებით წინ მიდის მეცნიერება, ტექნიკა, რაც უშუალო გავლენას ახდენს უმაღლესი სკოლის მუშაობის ფორმებსა და შინაარსზე.

სხვა სიახლეებიც ცოტა როდი გვაქვს, ყველას მოკლედ ჩამოთვლა შეუძლებელია.

2. ხალენ ახალგაზრდობას ვუსურვებ თანამედროვე რთული მეცნიერების დაუფლებას, ენერგიულ მეცადინეობას, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის ფრიადზე ჩაბარებას. ვინც კარგად სწავლობს, ის კარგი სპეციალისტი დადგება. კარგად სწავლა კი მოითხოვს დაძაბულ შრომას, წიგნის სიყვარულს, ლექციებზე დასწრებას.

მაგრამ საკმარისი როდია იყო კარგი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. პირველ ყოვლისა უნდა იყო სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, განიმსჭვალო მისი ინტერესებით, ერთგული, მთელი არსებით ემსახურო ქვეყნის წინსვლასა და აყვავებას. კვალიფიციური სპეციალისტი პატრიოტი — ეი, ვინ უნდა აღზარდოს უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სკოლამ.

უმაღლესი სკოლის პედაგოგ-მასწავლებლებს კუსურვებ იყონ თავიანთი საგნის ღრმად მცოდნე სპეციალისტები, სანიმუშო ლექტორები და აღმზრდელები, საუკეთესო მეთოდისტები, მთელი პასუხისმგებლობით გამსჭვალულნი, რათა სამშობლოს მისცენ მაღალკვალიფიციური კადრები. როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებელი ცენტრალური ფიგურაა, რომელიც სახელს უქმნის თვით სკოლას, ისე უმაღლესი სკოლის ავტორიტეტს მისი პროფესურა განსაზღვრავს.

ვუსურვებ ჩემს კოლეგებს — უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლებს ყოველთვის იყონ ამ დიდი სახელმწიფო მნიშვნელოვანი შემსრულებელნი. ყოველთვის იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე!

ი. შევარდნაძე — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

1. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა იდგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების დახმარებით დიდი მუშაობა გასწია სისტემის სასწავლებლების ახალი ხელმძღვანელი კადრებით შევსების უზრუნველსაყოფად, მიღალკვალიფიციური პედაგოგებითა და სწორმოო სწავლების ოსტატებით მათი დაკომპლექტებისათვის. წელს საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში სულ იმუშავებს 2.500 ინჟინერ-პედაგოგი, რომელთა უმრავლესობას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს. მათთვის უკვე მოწყო მეთოდური თათბირები ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გასაცნობად.

ახალი სასწავლო წლის დამდეგისათვის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად გარდაიქმნა თბილისის № 63, რუსთავის № 17, მაიაკოვსკის № 69, მარნეულის № 70 და სოფელ ნოჯიხევის № 30 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები. ვიეხსნა ახალი სასწავლებლები რუსთავსა და ლენინაკანში.

ბეჯითი სწავლა, შეუპოვარი შრომა

2. ხალენ მოსწავლე-ახალგაზრდობას ვუსურვებ ბეჯითად სწავლას, ფანგარო შრომით არჩეული პროფესიის, მოწინავე ტექნიკის, მეცნიერებათა საფუძვლების კარგად დაუფლებას; ღირსეულად განეგრძოთ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სახელოვანი მუშათა კლასის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, ემრავალნაირ მატერიალური დოვლათი, იყოს კომუნისტური მორალისა და ზნეობის მტკიცე მატარებელნი; ყოველთვის ახსოვდეთ, რომ ბედნიერება ცხოვრებაში, ოჯახში და დიდება საზოგადოებაში შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ დაუზარელი შრომით, პატიოსნებით, შეუდრეკელი ნებისყოფით. მასწავლებლებს ვუსურვებ აღზარდოთ მაღალი მოქალაქეობრივი თვისების მქონე და პასუხისმგებლობის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული ახალგაზრდები.

გზას უღლოცავენ

კეთილი იყოს!

ძვირფასნო ახალგაზრდებო, ქალებო და კაცებო! მორიგ სასწავლო წელს ვიწყებ თქვენთან ერთად, ჩემთვის საზეიმო თარიღით: 1975 წლის სექტემბერში უნდა დავასრულო ჩემი ცხოვრების გზის ოთხი ოცეული და შევუდგე ჩემი „მაღლთა“ ცხებულ მეხუთე ოცეულს. ეჭვი არ მეპარება, რომ ამირიდანაც შემიძლება ვამსახურო ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, იმ საქმეს, რომელიც თავისი პირნათელი შესრულებით ბამარჯვების ეიმზადებს ჩვენს ქვეყანას ცხოვრების ყველა დარგში: ამრავლებს სახალხო დოვლათს, ეუნერგავს მსოფლიო ახალგაზრდობას, პირველ რიგში თავისი ენერგიული მოღვაწეობის წყალობით, მოწინავე იდეებს, კეთილშობილებას და პატიოსნებას.

გიწვევთ, ახალგაზრდებო, ცოდნის სამყაროში. მობრძანდით ჩვენს ლაბორატორიებში, ლაბორატორიებში. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ხალხთველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სიმონ ყაუხჩიშვილი.

სწავლა პირველსავე დღეს იწყება

პირველი სექტემბერი ერთი ყველაზე სამახსოვრო დღეთაგანია განათლებული ადამიანის მთელ ცხოვრებაში. პირველი სექტემბერი არა მარტო მოსწავლეთა და პედაგოგთა, არამედ ყველა წიგნიერი კაცის დღესასწაულია, ნამდვილი დღესასწაული, ამიტომაც, კაცმა რომ თქვას, ეს დიდებული დღე ყველას უნდა მიეღოცოს, ვისაც თავის ახალგაზრდობაში სწავლა არ დაბარებია.

მაგრამ მაინც პირველი სექტემბერი ჩვენს ახალგაზრდობას უნდა მიეფოცოთო. ასეთია ტრადიცია და ეს ტრადიცია სწორი და საფუძვლიანია.

გულით და სულით ვეღოცავ ჩვენი ქვეყნის ახალ თაობას, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების მოსწავლეებს. ახალი სასწავლო წლის დასაწყისს; ახალი ენერგიით ჩაბმას მეცნიერების დაფფლებისათვის, ბუნების საიდუმლოებათა ამოხსნისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში.

რამდენადაც ვიცით მიმდინარე ახალ სასწავლო წელს კარგად მომზადებულნი ბვდებიან ჩვენი სასწავლო ორგანიზაციები და დაწესებულებები, ჩვენი გამომცემლობები, რომელთაც თქვენთვის ახალი სახელმძღვანელოები დამზადეს; ახლა ჯერი თქვენზეა, ჩვენო საყვარელო ბავშვებო, ჯაბუკებო და გოგონებო!

ისე, როგორც მთელი შეხვბის მომავალი ბედი დამოკიდებულია ამაზე, თუ როგორ მტაცებდ ჩაეყარა მისი საძირკველი, —თქვენს მომავალსაც ის განსაზღვრავს, თუ როგორ ბეჯითად და საფუძვლიანად დაეუფლებით თქვენ სასწავლო პროგრამას დაწყებითსა და საშუალო სკოლაში. მაგრამ მე აქ ამასაც დავეძენ, რომ ეს იცეს კა საკმარისი არ არის დიდი მომავლისათვის, რომელსაც თქვენ მიილტვით.

მე ან ვგულისხმობ თქვენს „ზეგეგვით“ საბუშაოს — ლიტერატურის, მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებათა დაუფლებას.

არასდროს ისე არ იყო საჭირო ბასარგებლო კომუნისტის შენებული პარმონიული ადამიანის ჩამოყალიბებისათვის მხატვრული ლიტერატურა, მისი საუკეთესო ნიმუშების გაცნობა და დაუფლება, როგორც სწორედ დღეს, სწორედ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ბიადი ეპოქაში. ამასთანავე, არის წიგნები, მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაც სწორედ სასკოლო ასაკში უნდა ეკითხულობდეს ადამიანი, შემდეგ მათ. ვეღარ დაუბრუნდებიან.

ყოველი ინსანი სასწავლო წელი სულ უფრო და უფრო მეტ სიბეჯითეს, მეტ გულმოდგინეებას მოითხოვს თქვენგან, ჩვენო საყვარელო მოსწავლეებო. თქვენი განსწავლის წლები, ეპოქის მიხედვით, სულ უფრო და უფრო რთულდება. ამიტომაც დავარქვი მეც ამ ჩემს მოსალოცავ წერილს სათაურად: „სწავლა პირველსავე დღეს იწყება“.

პოეტი-აკადემიკოსი

ირაკლი აბაშიძე.

დედაშვილობამ, ერისა გოსოვ...

ეჭმრ შუა ხანს მიტანებული ქალი ვარ და ჩანთიან მოსწავლეებს ზომ დავინახავ, გული სიამით მევსება და ღელვასაც-განვაცდი, მართალია, ჩემი რთული ოჯახური პირობების გამო უმაღლესი განათლება ვერ მივიღე, მაგრამ სამაგიეროდ შრომაში გამოვლის ბედმა: უბრალო, ღარიბმა მთიელმა ქალმა რიგითი მწველავობიდან სოციალისტური შრომის გმირობის მაგალითი.

გული არ მითმენს დედაშვილური ღარიგება არ მიეცეს ჩვენს ახალგაზრდობას: ისწავლეთ ბეჯითად, მომავალი თქვენ გეკუთვნით, თქვენა ხართ ჩვენი შემცველები.

ზაირა ალხანიშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჭაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი.

იყავით ღირსეულნი

პირველი სექტემბერი ჩვენშარიტად ბედნიერი დღეა მოსწავლეთათვის, მშობლებისათვის, პედაგოგებისათვის და მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთაგდებრიობისათვის, ოგი ყველასათვის საზეიმო და სახიხარულო თარიღია. თავს ნებას ვაძლევ მივეფოცო ჩვენს საყვარელ ახალგაზრდობას ეს დღე და ვუსურვო ჯანრთელობა, წარმატება სწავლასა და შრომაში, სანიმუშო მაღალზნეობრივი ყოფაქცევა სასწავლებლსა და მის გარეთ.

ასევე ვეფოფიცავ ჩვენს მრავალათასიან მასწავლებლებს, პედაგოგ-აღმზრდელებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის ამ დიდსა და მოწინავე რაზმს გულითადად ვუსურვებ წარმატებით განახორციელოს თავის წინაშე დასახული დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები.

დავით ლორთქიფანიძე,

საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ჩვენც — მშობლებიც...

სწავლა-აღზრდის რთულ გზაზე წარმატებების მოპოვება შეუძლებელია მხოლოდ სკოლების, სასწავლებლების ძალებით. ეს არსებითად სკოლასა და ოჯახს შორის ურთიერთკავშირზე, გარემო წრეზეა დამოკიდებული, შე სამი ქალიშვილის მამა ვარ. ჩემი გოგონები თბილისის 119-ე საშუალო სკოლის პირველ, მეხუთე და მეექვსე კლასებში სწავლობენ. ყოველნაირად ვეცდები, რომ ისინი წესიერად აღზრდილნი იყვნენ, ისე ისწავლონ და ეშრომონ, როგორც ჩვენს ეპოქას, კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებას შეეფერება.

გიორგი კურტანიძე,

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოვი, სოციალისტური შრომის გმირი.

ბრიგადა

მედგომარეობა პორტუგალიაში

ლისაბონი. (საკდესი). პორტუგალიის პრეზიდენტის კანცელარიამ გამოაცხადა, რომ პრეზიდენტმა ფ. კომტა გომეშმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი შტაბის უფროსი, ადმირალი ფოზე პინეიროუ დი აზევედუ. ვასკეგონსალიანი, რომელიც მანამდე პრემიერ-მინისტრის პოსტზე იყო, დანიშნეს პორტუგალიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად. ეს პოსტი ადრე შეთავსებით ეკავა პრეზიდენტ კოუტა გომეშს. ეს გადაწყვეტილება მიიღეს რევოლუციურ საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ. პინეიროუ დი აზევედუს დაავალეს ახალი დროებითი მთავრობის შედგენა.

ლე თხან ნი გულითადად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს. ვიეტნამის მშრომელთა პარტიის. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი ვიეტნამელი ხალხის სახელით მან ალფაწრფელი და დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს იმ უდიდესი ფეიტრიანი დახმარებისათვის, რომელსაც ვიეტნამს უუნვენ.

საპასუხო სიტყვაში ბ. ხ. სოლოშენკოვმა ჩაზარსმით აღნიშნა საბჭოთა ხალხის ღრმა კმაყოფილება ვიეტნამელი ხალხის წარმატებებისა და საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის გაფართოებისა და განმტკიცების გამო.

დარბაზობამ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ბოლოს

30 აგვისტო

ამბავი ბრალეულია ბრალეულია

ფაქტები

საკვები და უცხოეთის პრესის საგენტოები იტყობინებიან

გულითადობის ვითარებაში

შეხვედრა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციასთან

ბანოი. (საკდესი). აქ ვაიმართა ხალხთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შეხვედრა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის სამხრეთ ვიეტნამის ბიუროს მდივანი ფამ ჰუნგი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ გულითადად მიულოცა ვიეტნამელ ამხანაგებს შესანიშნავი გამარჯვება.

საბჭოთა დელეგაციისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის შორის გაიმართა გულთბილი, გულითადი საუბარი.

დარბაზობა ჰანოიში

ჰანოი. (საკდესი სპეც. კორ.). ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი. დარბაზობაზე იყვნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მეჩვიდმეტე კომიტეტის თავმჯდომარე ფ. ბ. სოლოვიოვი. დარბაზობაზე იყვნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის სამხრეთ ვიეტნამის ბიუროს მდივანი ფამ ჰუნგი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ გულითადად მიულოცა ვიეტნამელ ამხანაგებს შესანიშნავი გამარჯვება.

საბჭოთა დელეგაციისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის შორის გაიმართა გულთბილი. გულითადი საუბარი.

უთანხმოება აღმოიფხვრა

ბუენოს-აირესი. (საკდესი). სამხედროებთან თათბირის შემდეგ არგენტინის პრეზიდენტმა ძარია ესტელა მარტინეზ დე პერონმა გამოაცხადა, რომ აღმოიფხვრა უთანხმოება, რომელიც ამ ბოლო დროებში წარმოიშვა. შეიარაღებულ ძალებში. მოხდა გადაადგილებანი, რომელებსაც მოითხოვენ არმიის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი რიგი უმაღლესი წოდების ოფიცრები. სახმელეთო ძალების სარდალად დანიშნულია გენერალი ხორხე ვიდელა. გენერალი ალბერტო ნუმა ლაპლანე. რომელიც ამ პოსტზე იყო, გადადგა.

თავის მხრივ, სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების სარდლებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ადასტურებენ, რომ ჰატივს სცემენ კონსტიტუციას და კანონებს. ისინი აღნიშნავენ, რომ შეიარაღებული ძალების ერთიანობამ „მხარი უნდა დაეჭიროს განვითარებად პოლიტიკურ პროცესს, უზრუველყოს კონსტიტუციისა და კანონების სრული ქმედითობა“. სარდლები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ ჯადაწყვეტილი იბრძოლონ ძირგამოთხრილი საქმიანობის წინააღმდეგ, რათა „აღადგინონ წესრიგი და მშვიდობა, რომელსაც ესწრაფვიან არგენტინელი ხალხის უმრავლესობა“.

არგენტინის მშრომელები, პროგრესული საზოგადოებრიობა „მაყოფილებით შეხვდნენ სამხედროთა ამ განცხადებას. ამ ბოლო დროს რეაქცია ეცხოეთის ომ მონოპოლიათა მხარდაჭერით, რომელთა ხელშია არგენტინის ეკონომიკის საკვანძო დარგები, შეეცადა გაეთიშა შეიარაღებული ძალები, რათა დაყრდნობოდა მათ სახელმწიფო გადატრიალების მოსაბდენად.

ბოლივიაში

ლიბანონი. (საკდესი). პორტუგალიის პრეზიდენტის კანცელარიამ გამოაცხადა, რომ პრეზიდენტმა ფ. კომტა გომეშმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი შტაბის უფროსი, ადმირალი ფოზე პინეიროუ დი აზევედუ. ვასკეგონსალიანი, რომელიც მანამდე პრემიერ-მინისტრის პოსტზე იყო, დანიშნეს პორტუგალიის შეიარაღებული ძალების ენერგალური შტაბის უფროსად. ეს პოსტი ადრე შეთავსებით ეკავა პრეზიდენტ კოუტა გომეშს. ეს გადაწყვეტილება მიიღეს რევოლუციურ საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ. პინეიროუ დი აზევედუს დაავალეს ახალი დროებითი მთავრობის შედგენა.

ეს თხან ნი გულითადად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს. ვიეტნამის მშრომელთა პარტიის. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი ვიეტნამელი ხალხის სახელით მან ალფაწრფელი და დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს იმ უდიდესი ფეიტრიანი დახმარებისათვის, რომელსაც ვიეტნამს უუნვენ.

საპასუხო სიტყვაში ბ. ხ. სოლოშენკოვმა ჩაზარსმით აღნიშნა საბჭოთა ხალხის ღრმა კმაყოფილება ვიეტნამელი ხალხის წარმატებებისა და საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის გაფართოებისა და განმტკიცების გამო.

დარბაზობამ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მდგომარეობა ბანგლადეშში

დაკა. (საკდესი). კ. მ. აქმედის ახალი მთავრობა კვლავ ანარეცევლებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია რეჟიმის განმტკიცება. დღეს გამოქვეყნდა გადაწყვეტილება ეგრეთწოდებული „უმაღლესი შესაჩივარი კოლეგიის“ შექმნის შესახებ. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს. კოლეგიის ფუნქციებში შედის „კომპეტენტურ პირთა“ დანიშვნა მაღალ თანამდებობებზე მთავრობაში. სამინისტროებსა და სხვადასხვა დაწესებულებაში. კოლეგიაში შედის შვიდი კაცი მინისტრთა კაბინეტის მდივნის მაფიულ აზანის მეთაურობით.

გაზეთები იუწყებიან. რომ გრძელდება ამ პირთა დაპატიმრება, რომლებსაც პასუხსაგები პოსტები ეკავათ ძველი მთავრობის დროს. ქვეყნის პრეზიდენტის 24 აგვისტოს დეკრეტის შესაბამისად შეიქმნა ორი სპეციალური ტრიბუნალი. რომელთა უფლებამოსილება ვრცელდება ბანგლადეშის მთელ ტერიტორიაზე. თვითეულ ტრიბუნალს მეთაურობს ორი მოსამართლე, რომელთაგან ერთი შეიარაღებული ძალების წარმომადგენელია.

ახალმა მთავრობამ გააუქმა ძველი მთავრობის დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის გაყოფას 61 ოლქად არსებული 19 ოლქის ნაცვლად. ეს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა ძალაში უნდა შესულიყო 1 სექტემბერს და დანიშნულ სოლქო გუბერნატორებს უკვე ამზადებდნენ დაკაში, როცა იქ 15 დღის წინათ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება.

პერუს ამგეგი

ლიმა. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა პერუს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა პოლიციის ძალებთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დევნის გენერალი ფრანსისკუ მორალეს ბერმუდესი დანიშნონ პერუს რესპუბლიკის პრეზიდენტად. იგი ფაცს დადებს დღეს საღამოს.

გენერალმა სუან ველასკო ალვარადომ, რომელიც გადადგა რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტიდან, აქ გაავრცელა „წერილი ერისადმი“, რომელშიც განაცხადა: „თავს ვანებებ რევოლუციური პროცესის ხელმძღვანელობას, **რომელსაც ვახორციელებდი 1968** წლის 3 ოქტომბრიდან, და ამასთან ქმაყოფილი ვარ იმის გამო, რომ მოვახდინე ჩემი ვალი და საძირკველი ჩავყარეთ ახალ პერუს“.

შეიარაღებული ძალების კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ პერუში რევოლუციური პროცესი გაგრძელდება მისი თავდაპირველი იდეოლოგიური და პოლიტიკური კონცეფციების ფარგლებში.

ფრანსისკო მორალეს ბერმუდესს, კაცრის სამხედრო მოსამსახურეს, პერუს ახლანდელ მთავრობაში ეკავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი და ერთდროულად სამხედრო მინისტრის პოსტი.

პერუს დედაქალაქსა და მთელ ქვეყანაში სიმშვიდეა.

გიორგი კაჭახიძე

გამარჯობა, ჩემო სკოლავ!

ბურჯად უდგ ჩემს გაზაფხულს, ჩემს ბავშვობას,
რაც კარგი მაქვს,
ბევრი შენით შენგან მოდის.
გამარჯობა, ჩემო სკოლავ, გამარჯობა!
არ შემეძლო არ გწვეოდი.

შვილებს ვეთავაკაცე, გამოვეცვა,
ჩემი ნატვრის ამ პატარა ჩიტბატონებს,
მწვანე ქუჩით, მისახვევით, მოსახვევით
მოეკრიალდნენ, გაბარებ და უპატრონე.

ეიცი შენი სათვალთვალო გზა და სიერცე,
აზრის ღონე,
სიტყვის ძალა, შემართება,
კაცურ მიზანს ვის რა ეშხით განუმტკიცებ,
რით რა შუქი გემატება.

შენი ცოდნის წყაროს ჩქერი ვის არ გვისვამს,
შენი რჩევა სულის ღონედ ვის არ გვეჭცა.
გვზარდე ქვეყნის პატრონებად, მტრების რისხვად,
მიწა მზაკვრებს გამოვტაცეთ, ღმერთებს ზეცა.

ჰერზე ჭადად გიკიდია მზეც და მთვარეც,
ხიტკბოს ღელედ გიქცევია მწარის გუბე.
ახლა შენებრ მამიხედე ამ პატარებს,
დაამოყვრე ცოდნის უბნებს.

სწავლა ექცეთ ხვებედნიერ მამაცობად,
ეშვილძირონ ხალხის გულში ნაწრთობ სიბრძნეს,
გამარჯობა, ჩემო სკოლავ, გამარჯობა!
რა სახელიც გასხივოსნებს, ღვაწლით იძენ.

ნუ მოგშლოდეს შრომით თავის გამოჩენა,
სიტყვა შენი სადიდმრევლო სიტყვად შესმის, —
მეც შენთან ვარ, შენს კლასებში, შენს ნორჩებთან
ჩემი საქმით, ჩემი ლექსით.

სკოლისაკენ!

2. ასეთია ახალი 161-ე საშუალო სკოლა დედაქალაქის იოსეფიანის ქუჩაზე. ახალი სკოლის ეს სიმბოლური გასაღები გადასცეს მოსწავლეებს თბილისის № 18 ტრესტის პირველი სამმართველოს მშენებლებმა, რომლებმაც ბეჯერი იშრომეს, რომ ეს მშვენიერი საჩუქარი მიეძღვნათ თბილისელი ბავშვებისათვის.

ხ. კილაძის ფოტო.





გვიხმობს სკოლა,
მშობლიური სკოლა!

თქვენთვის, კატარეგო!

□

კისკისა და ხითხითა

დიდი სკოლა ააშენეს
ახალსოფლის დიდ ხიდთან,
სკოლისაკენ იჩქარიან
კისკისა და ხითხითა, —
მელანს წერით დააშრობენ,
წიგნს გაცვეთენ კითხვითა.

გ. წერეთელი.

□

გამოცანას მოგახსენებ...

ოქროსთვალა გვირილების
თეთრ წამწამებს ვთვლიდი:
ერთზე იყო ხუთი ცალი,
მეორეზე — შვიდი.
მესამეზე — იმ ორივეს
ნახევარი გახლდათ.
მაშ, რამდენი დამითვლია,
ის გავიგოთ ახლა

* * *

თითქოს ტყეს ფეხი
აუდგამს,
მოდის ქორბუდას ჭოგი.
მოდი, ირმების დათვლაში
შენც მომეხმარე, გოგო;
ცალკეულ რიცხვებს
მოგაწვდი,
კარგად დამიგდე ყური;
თორმეტი ხარლალია და
ორი იმდენი — ფური.
თანაც ფურირმებს
კუნტრუშით
ნუკრი მოპყვება თითო.
რამდენი სული ყოფილა,
იანგარიშე თვითონ.

* * *

ბებომ მომცა იქნი ცალი
ვაშლი ლოყაწითელი;
ემკუნ კომში უკვე მქონდა,
ჭარგასავით ყვითელი.
დღეს დილას კი, რომ
გვიწვიო
სახლში ძია ზურაბი,
მომიტანა ცხრა ხურმა და
ერთით მეტი — გულაბი.
მოდა, ხუთჯერ შვიდი ცალი
ხილი დამგროვებია.
მაშ რამდენი ვაშლი მომცა
საყვარელმა ბებიამ?

* * *

ამას წინათ შევეკითხე
პაწაწინა ბეთქილეს:
ხელ რამდენი ზღაპარი და
ლექსი იცი-მეთქი?
თუ ზღაპარი უსწავლია
მარტოოდენ ექვსი,
სხვაპასუხით ჩამოთვალა
ორჯერ მეტი ლექსი.
ყველა ერთად რამდენია —
იქნებ სხვამაც მითხრას.
ოღონდ სწრაფად, რადგან
ფიქრი
არ სჭირდება დიდხანს.

* * *

ზურიკელას ამოცანა
უთხრა ძია ბახვამ:
— დავუშვათ, რომ ხუთი
ცალი
ჩურჩხელა გაქვს ახლა,
თუკი ორ-ორს მიართმევდი
ლეიფლასა და ხაბას,
შენ რამდენი დაგრჩებოდა,
მიპასუხე, აბა?
ზურიკელას საყვედური
აუღელვრდა ხმაში:
— მე ხომ მათზე უფრო
ცოტა
შემხვდებოდა მაშინ!

* * *

სკოლაში ხომ ჩინებული
მოსწავლეა ნელი!
ზაფხულობით დედას ჩაის
ნოკრეფაშიც შველის.
იგი ყოველ თხუთმეტ
წუთში
ორ კალათას ავსებს.
თუ ორ საათს მონდომებით
იმუშავებს ასე,
რამდენ კალათ ჩაის
მოკრეფს,
გამოიცნობ წამსვე.

შ. ამირანაშვილი.



3. სიხარულით მიისწრაფიან გაკვეთები მშობლიური სკოლისაკენ. მაგრამ ქალაქი დიდია, ქუჩაში შეუნელებელი მოძრაობაა. აქ გაკვეთების უსაფრთხო გადასვლას მარეგულირებელი აფრთხილებს.

ს. კილაძის ფოტო.

ტყაჩირელთა სიხარული

დიდი ხნის წინათ დაარსდა ფყალტუბის რაიონის სოფელ ტყაჩირის კოლმეურნე ახალგაზრდობის არასრული საშუალო სკოლა, სადაც მეზობელი სოფლების ახალგაზრდობაც სწავლობდა. შემდეგ იგი 8-წლიან სკოლად გადაკეთდა. გადიოდა დრო და ძველი შენობა უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს. და აი 1971 წლის 1 სექტემბერს პირველად აწყრიალდა ზარი ორსართულიან, კეთილმოწყობილ ახალ სასკოლო შენობაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, რაიონის სელმძღვანელობამ გაითვალისწინეს მშრომელთა თხოვნა სოფელში საშუალო სკოლის დაარსების შესახებ (აქაური მოსწავლეებს IX-X კლასებში სიარული 5-6 კილომეტრით დაშორებული მეზობელი სოფლების საშუალო სკოლებში უსდებოდათ) და ტყაჩირის 8-წლიანი სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა. და აი ხვალ ტყაჩირის სკოლაში პირველად მიუსხდებიან მერხებს მეცხრეკლასელები.

ეს მკაფიო ილუსტრაციაა მოსწავლე ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვისა.

შ. შენგელია,
ფყალტუბოს რაიონის ტყაჩირის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

ტურისტული ...პრალიდან

მრავალ ტურისტულ მატარებელს მასპინძლობს თბილისის რკინიგზის სადგური, განსაკუთრებით ზაფხულობით. მაგრამ მატარებელი „დრუჟბა“, რომელიც ამ დღეებში ჩამოდგა, ჯერჯერობით პირველია პროდიან. მისი მარშრუტია: პრაღა-ლვოვი-კიევი-ადლერი-ბაგრა-სოხუმი-თბილისი-ერევანი-თბილისი-კელასური-სოჭი და უკან.

ჯგუფში არიან პრაღის დიდი სამრეწველო საწარმოს „ჩეკადე სოკოლოს“ მუშები და მეტროშენებლები, მასწავლებლები, ეკონომისტები და მრავალი სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

ტურისტებმა თბილისში ერთ დღეს დაჰყვეს, იყვნენ ფუნიკულიორის პლატოზე, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, გაეცნენ ჩვენი ქალაქის ძველ და ახალ უბნებს. სტუმარი ახალგაზრდების ერთი ნაწილი ეწვია საქართველოს ისტორიულ მუზეუმს.

ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელმა პრაღის ეროვნული კომიტეტის მდივანმა იაროსლავ გოფიერკამ „კომუნისტის“ კორესპონდენტს უთხრა:

— სოხუმის მშრომელებმა ჩვენი ჯგუფი გულთბილად მიიღეს და მეგობრობის საღამო გაუმართეს. თუმცა თბილისში ძალიან ცხელოდა და აქ ყოფნისათვის დროც მცირე გვქონდა, ქართველმა მასპინძლებმა ჩინებული ტურმართმოყვარეობა გამოიჩინეს და ხელი შეგვიწყეს, რათა თქვენი ქალაქის რაც შეიძლება მეტი ღირსშესანიშნავი ადგილი გვენახა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

შ ე ე მ თ ხ ვ ე ვ ა

მწყემსი და დათვი შეიბნენ

ადრიანი დილა იყო, როცა კობის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსმა ფიდო გუდიევმა ფარა ფერდობზე გაშალა. ნისლიანში ცხვარი ტაატით მიიწევდა წინ და როცა ხევს მიადგა, იქვე ბუნაგიდან დათვი გამობობღდა თავის ბელებიანად და პირუტყვს გამოედევნა. ის იყო მხეცმა ჭედილი დაითრია და ბუნაგისაკენ გაიქანა, რომ თოფმა დაიქუხა. დათვმა ბუნაგამდე ვერ მიაღწია, მწყემსს უნდოდა კიდევ ესროლა დაჭრილი მხეცისათვის, მაგრამ მეტი ვაზნა აღარ აღმოაჩნდა. ადამიანი და გამძვინვარებული მხეცი ერთმანეთს შეეხლენ. გუდიევმა დათვი ხანჯლით განგმირა.

ა. თომაძე.

ჩვენს გზებსა და გზაჯვარედინებზე

ელეფასთან...

საამალავი ავტობუსის საბარგული

რა დასამალია, რომ დღევანდელი ინტენსიური მოძრაობის პირობებში გზა, ტრანსპორტის საჭესთან ჯდომა საფრთხესთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ არის საჭირო ამდენი ზრუნვა და მეადგილეობა უსაშიშრო მოძრაობისათვის. ეს საქმე კი სპეციალურად განკუთვნილ უწყებებსა და დაწესებულებებს, იქ მომსახურე ადამიანებს ევალებათ. ავტოინსპექტორი სდარაჯობს სწორედ ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობას, თვალყურს ადევნებს მას. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ სწორედ მის სიფხიზლეზე და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული ავტობუსებზეა შეთხვევათა თავიდან აცილება, ხმირად ადამიანის სიცოცხლეც.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ავტოინსპექტორის უმცავლი მოქმედება ხალხის თვალში სახელს უტეხს მათს კოლეგებს, იმათ, ვინც უმწიკვლოდ მუშობს.

მაგრამ საქმისადმი ერთგულებას და პატიოსნებას მაინც თავისი გაკვეს და იმ ადამიანებს, რომლებიც უანგაროდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, პირადი მაგალითით შეუძლათ დაამტკიცონ მაღალი მორალური თვისებები.

სახელმწიფო ავტოინსპექციისა და ავტოტრანსპორტის მრავალათასიანმ კოლექტივმა საქმის ცოდნითა და დავალებას ზედმიწევნით კეთილსინდისიერი შესრულებით გამოირჩევა საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი დურმიშხან თოფიშვილი. მას უტყუარი თვალი აქვს, ერთი შეხედვით შეატყობს, სრულ წესრიგშია სულმა ხომ არ წასძლია და არ გადაუკრავს... დურმიშხან თოფიშვილს აქვს აგრეთვე რაღაც განსაკუთრებული, ბუნებით მომადლებული რამ, რომელსაც უტყუარი ალღო ჰქვია. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ალღოს წყალობით არ გამოუპარება ხოლმე მილიციის უფროს ლეიტენანტს დამნაშავეები, რომელიც მართლწესრიგის დარღვევას ცდილობს...

ლამაზია საქართველოს სამხედრო გზა, განსაკუთრებით ზაფხულში ეტანება მას უამრავ მგზავრი. და სწორედ ამ ზაფხულს, აგვისტოს ერთ საღამოს სოფელ მლეთასთან სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოზე მორიგეობდნენ დ. თოფიშვილი, საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი მიღიციის უმცროსი სერჟანტი თ. ღანარაშვილი და დუშეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი თ. ბეკაური.

როგორც წესი მოითხოვს, ისე გაჩერა ავტოინსპექტორმა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც გროზნოს ავტოსტრანსპორტო კანტორას ეკუთვნის, და მძღოლს მართვის მოწმობა და საგზაო ფურცელი მოსთხოვა. ავტობუსის ერთ-ერთ მგზავრს ამ დროს სახეზე ფერფური წაუვიდა და წრიალი დაიწყო. ეს არ გამოპარვია ავტოინსპექტორის ფხიზელ თვალს...

— მანქანის საბარგულში ხომ ყველაფერი წესრიგშია? — შეეკითხა თოფიშვილი ავტობუსის მძღოლს.

პასუხის მოლებამდე ის შავვრემანი კაცი, რომელიც საქციელწამხდარი ადგილს ვეღარ პოულობდა, ავტოინსპექტორთან ახლოს მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა.

— უფროსო, საბარგულში ჩემი პირადი ნივთებია, სხვა არაფერი, ისე კი მადარიჩი ჩემზე იყოს, — და ხელი ჯიბეში ჩაიყო, აქეთ-იქით მიმოიხედა და დ. თოფიშვილს მოზრდილი შეკვრა გაუწოდა მაგრამ ხელი პარეშივე გაუშვიდა, მის მზერას რომ წააწყდა...

გაბსნა მძღოლმა ავტობუსის საბარგული, რომელშიც ფიზსაცმლის უამრავი ტყავის საპირე, საძირეები, ქუსლები და კალაპოტები, თეთრშეტი კილოგრამი შავი ხიზილალა აღმოჩნდა. ყველაფერი ეს საქციელწამხდარ მგზავრს ეკუთვნოდა.

ის კაცი, რომელიც ავტოინსპექტორის მოქმედებას ცდილობდა (შეკვრაში თურმე სამასი მანეთი ჰქონია), ცნობილი სპეკულანტი გეგა ამბარცუმის-ძე ზაქარიანი აღმოჩნდა, რომლის ასაკალ-დასავალი არც ოჯახმა იცის და არც მახლობლებმა. იგი პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა და სპეკულაციიოდ დაეხეტება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

ამჯერად, მართალია, ავარია არ აუცილებია ავტოინსპექტორს, არც საფრთხე დამუქრებია ავტობუსის მგზავრებს, მაგრამ წესრიგის აუშვების ფხიზელმა თვალმა კიდევ ერთი ხორცმეტი გამოავლინა, რომლის ბორტს საქმიანობას მალე მთლიანად გამოამზეურებენ საგამომძიებლო ორგანოები.

ბ. ბახტურიძე.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“ 32-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 27 აგვისტოს გაიმართა მოსკოვში.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ამოცნობილია ერთ ბარათში, რომლის მფლობელმა მოიგო 5.000 მანეთი. ვინც გამოიცნო ხუთი ნომერი, მოიგო 4.243 მანეთი (61 ბარათი); ოთხი ნომერი — 60 მანეთი (4.996 ბარათი); სამი ნომერი—3 მანეთი (103.366 ბარათი).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ ამოიცნო; ვინც ამოიცნო ხუთი ნომერი, მოიგო 3.542 მანეთი (31 ბარათი); ოთხი ნომერი — 56 მანეთი (2.018 ბარათი); სამი ნომერი —4 მანეთი (35.003 ბარათი).

მოგებათა გადახდა იწარმოებს 7 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ჩათვლით (საკვირველი).

1 ... ...